სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/14

ქ. თბილისი 17 მარტი 2023

მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელფასო ნიხრის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2023 წლის 06 თებერვლის №0000131229 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 17 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელფასო ნიხრის განსაზღვრის შესახებ“ 2020 წლის 28 თებერვლის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) №01-06-02/09 დადგენილებაში და დამტკიცდეს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საათობრივი ანაზღაურების ნიხრი - ერთი აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 18 ლარით, ნაცვლად 15 ლარისა;
2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**